ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3333691

ნომერი: AR1513346

თარიღი : 12.06.2017

გაცემის თარიღი : 19.06.2017

გაცნობის თარიღი : 19.06.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , პეტრე ქავთარაძის ქუჩა N26;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი აბაშიძე პ/ნ 01031003397
- თბილისი ს.ჩიქოვანის ქ. N 20 ბ. 104

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

ვინაიდან აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაცემულია მშენებლობის ნებართვა, ასევე მოთხოვნის ტექსტში აფიქსირებთ, რომ გსურთ სამშენებლო ღობის მშენებლობა გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნული პროექტის მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი, უსაფრთხოების მიზნით თავისთავად უნდა მოიცავდეს დროებითი სამშენებლო ღობის მოწყობას, რის შესაბამისადაც სამსახური ამ პროექტისგან დამოუკიდებლად, როგორც I კლასის დროებითი ღობის მშენებლობაზე ვერ გასცემს შესაბამის წერილობით თანხმობას. გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.